მხარდასაჭერი პირების საჭიროებების კვლევა;

ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ჭრილში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქ-ნი შორენა საძაგლიშვილი

სტუდენტი: რუსუდან მელიქიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ არსებული ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალას, რომლებიც არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან მელიქიძე

15 ივნისი, 2023 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერის შემთხვევების მართვის მოდელის შესახებ და გაანალიზოს იგი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ჭრილში. შესაბამისად, ნაშრომში მიმოხილულია, ზემოხსენებულ სამსახურში დასაქმებული კადრების მოსაზრებები და შეფასებულია მათ მიერ იდენტიფიცირებული გამოწვევები. ასევე, აღწერილია ის ბარიერები, რასაც სოციალური მუშაკები აწყდებიან მხარდასაჭერ პირებთან მუშაობის პროცესში. განხილულია, თუ რამდენადაა მხარდასაჭერი პირების უფლებები დაცული; ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას კვლევის ნიადაგზე გამოკვეთილი გამოწვევები.

საკვლევი კითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი. კერძოდ კი, სიღრმისეული ინტერვიუ. შერჩევის მეთოდად კი განისაზღვრა, მიზნობრივი, მოხერხებული შერჩევა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, მხარდაჭერის სასამართლო/სამოქალაქო დავებისა და აღსრულების განყოფილების ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრის თანამშრომლები (იურისტები, სოციალური მუშაკები), ასევე ქალაქ რუსთავში მცხოვრები მხარდასაჭერი პირები. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა, შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების შესახებ, გარკვეულწილად მიმოხილულია საქართველოში არსებული სერვისები, ასევე, განხილულია საერთაშორისო პრაქტიკა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ირგვლივ.

კვლევის შედეგად მხარდასაჭერ პირებთან მუშაობის პროცესში სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ, გამოყენებული შემთხვევის მართვის მოდელი შეფასდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების სტანდარტებით და გამოვლინდა ტენდენცია, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპების უმეტესობა

სრულყოფილად და რელევანტურად არაა ასახული შემთხვევის მართვის პროცესში. ამასთანავე, იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი გამოწვევები: სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ნაკლებობა; შემთხვევის მართვის მოდელთან დაკავშირებული პრობლემები, რაც შეუსაბამობაში მოდის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა და უწყვეტი პროფესიული განათლების პრობლემა დასაქმებულ სპეციალისტებს (იურისტები, სოციალური მუშაკები) შორის; შემთხვევის მართვის მოდელის უარყოფითად ასახვა სააგენტოს სოციალური მუშაკების შრომითი კეთილდღეობის ხარისხზე.

საკვანძო სიტყვები: ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირები; მხარდასაჭერი პირები; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა; შემთხვევის მართვა.

Abstract

The purpose of this paper is to provide the reader with information about how LEPL Agency for State Care and Assistance For the (Statutory) Victims of Human trafficking manages case with recipient of support individuals and analyze case managments terms of a right-based approach. Accordingly, the papes reviws the opinions which employees of the aforementioned service and evaluates the challenges identifies. Also, described the barriers that specialists face in the process of working with recipient of support people. It is discussed how recipient of support individuals rights are protected and there are presented recommendations how to eliminate the challenges identified on the basis of the research.

Due to the specific nature of the research question, a qualitative research method was used, respectively an in-depth interview. Research method was targeted, convenient sampling. Target group represents, Social workers and lawers of LEPL Agency for State Care and Assistance For the (Statutory) Victims of Human trafficking, Supporting Judical/Disputes and Enforcement departments, of Kvemo kartli regional centre. Also Recipient of Support individuals living in Rustavi. Futhermore, the paper discusses a number of academic literature, about rights of people with disaabillity and psycho-social need people, also there are reviewed some services available in Georgia. Also discussed international practice around the rights-based approach.

As a result of research case management model used by LEPL Agency for State Care and Assistance For the (Statutory) Victims of Human trafficking working with Recepient of support individuals was evaluated according to the standards of Human rights-based Aprooachrs. A tendency was revealed that the most of human rights-based principles are not fully and relevantly reflected in the case management process. In addition, study identified the following challenges: Lack of state and municipal services; problems releated to the case management model format; Lack of awareness of the human rights-based approach and the problem of continuous professional education among employed; A negative reflection of the case management model on the quality of social work welfare of social workers.

Key words: people with paycho-social needs, individual with Recipient of Support; Human rights-based approach; case management.

მადლობა

ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი, პროფესორ - შორენა საძაგლიშვილის, რომელმაც გაცემული უკუკავშირისა და გამოხატული ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე, დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში და დამეხმარა დასახული მიზნების მიღწევაში.

აგრეთვე, მადლობას ვუხდი სსიპ სახლემწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრის თანამშრომლებს, რომლებმაც უდიდესი სამუშაო დატვირთვის მიუხედავად მაინც მოახერხეს ინტერვიუს პროცესებში მონაწილეობა.

ასევე, უდიდეს მადლობას ვუხდი მხარდასაჭერ და მხარდამჭერ პირებს, რომლებიც გამორჩეული ხალისით და პოზიტივით მიღებდნენ ინტერვიუს ჩასატარებლად და ცდილობდნენ მაქსიმალურად ნაყოფიერი ინფორმაცია მოეწოდებინათ ჩემთვის.